MES 3 21 0000302785

30/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.03.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:55სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ქეთი ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	სანდრო ტაბატაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	ვლადიმერ კირცხალია		„მყარი სხეულების ფიზიკის“ პროგრამის ხელმძღვანელი	I

3	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV
4	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	II-III
5	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II-III
6	თამარ ცინცაძე		„ფარმაციის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	II-III
7	ნანა გელოვანი		პროფესორი	II-III
8	ნანა დანელია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	II-III
9	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	IV
10	ლევან იმნაიშვილი		პროფესორი	IV
11	ქეთევან კოტეტიშვილი		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ავთანდილ თავთხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლაშა ბაკურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ლაშა მსხილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მყარი სხეულების ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მყარი სხეულების ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მყარი სხეულების ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მყარი სხეულების ფიზიკა (Solid State Physics)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 აპრილის N57 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი (PhD in Physics)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	თბილისი 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

მაკა კაჭარავა, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი ისტორია, კერძოდ აღნიშნული ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის სამხედრო კომპლექსის ინსტიტუტთა ხუთეულში შედიოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ინსტიტუტში მომუშავე ქართველთა ნაწილი წამოვიდა თბილისში და განაგრძო მუშაობა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ისევ ინარჩუნებს სწავლების მაღალ სამეცნიერო

დონეს, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოწესრიგებულია, როგორც ინფრასტრუქტურა, ისე აპარატურა. მისივე განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მეცნიერების ძალიან კარგი სკოლა.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტს, რომ მას მეტი განმარტება გაეკეთებინა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ექსპერტით თქმით, აკრედიტაციის დროს მათ ჰქონდათ რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც ძირითადად ეხებოდა არჩევითი საგნების სავალდებულო საგანთა რიცხვში გადატანას და პირიქით. ექსპერტის განმარტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდა ლიტერატურის პრობლემა, რისი განახლების რეკომენდაციაც გაიცა. მისი შეფასებით, დაწესებულების მხრიდან გადაიდგა დადებითი ნაბიჯები, რადგან მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო თარგმნეს ქართულ ენაზე. თუმცა, ძველი რუსულენოვანი ლიტერატურის გამოყენება მაინც ხდებოდა პროგრამის განხორციელების პერიოდში. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ ბიბლიოთეკაში ლიტერატურის სიმცირეზეც შენიშნეს. გარდა ამისა, კვალიფიკაციის ჩარჩოში ადრე მითითებული იყო მყარი სხეულების ფიზიკა, რომელიც 2018 წლის შემდეგ შეიცვალა ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოთი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მეტი თანამშრომელი ჩართო პროგრამის განხორციელების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს წარმატებები უსურვა რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში. ასევე, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი მითითებით, კავშირი კვლევით ინსტიტუციას შორის ნამდვილად სამაგალითო იყო, რასაც ემსახურებოდა აღნიშნული პროგრამის შექმნა. ლიტერატურის პრობლემურობის საკითხში რომეო გალდავა დაეთანხმა ექსპერტს, მან მოიშველია არგუმენტირებულ პოზიცია, სადაც დაწესებულებამ მიუთითა, რომ ლიტერტურა დისკებზე ჰქონდათ ჩაწერილი, ლინკებითაც იძებნებოდა, შესაბამისად სტუდენტისთვის მიწოდების პრობლემა არ იდგა. რომეო გალდავამ მიუთითა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2 სტუდენტი სწავლობდა, რომელთაგანაც ერთ-ერთს რამდენიმე უცხოური გრანტი ჰქონდა მოპოვებული და სავარაუდოდ, მიმდინარე სემესტრის ბოლოს ნაშრომსაც დაიცავდა. მანვე დაადასტურა, რომ ითარგმნა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მყარი სხეულების ფიზიკაში. ასევე, სასწავლო სემესტრების დაფიქსირებისა და დაკონკრეტების საკითხთან დაკავშირებით მზაობა გამოთქვა.

საბჭოს თავმჯდომარეს ექსპერტთან გაუჩნდა ტექნიკური ხასიათის შეკითხვა. დასკვნაში მეორე სტანდარტის 2.2 და 2.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო თავად მეორე სტანდარტი მითითებულია, როგორც შესაბამისობაში. ექსპერტის თქმით, მეორე სტანდარტს ჰქონდა ექვსი კომპონენტი, საიდანაც მხოლოდ ორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად. საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრთანაც დააზუსტა, რომ თუ კი სტანდარტში ორი კომპონენტი შეფასებულია მეტწილად შესაბამისად, მაშინ მთლიანად სტანდარტი უნდა შეფასდეს მეტწილად შესაბამისად. ამ მსჯელობას ექსპერტიც დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მათ მეორე სტანდარტი შეაფასეს, როგორც მეტწილად შესაბამისი და სავარაუდოდ, ტექნიკური ხასიათის შეცდომას ჰქონდა ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრს გაუჩნდა შეკითხვა, საბჭოთა კავშირის დროს არსებული სკოლიდან რა ღირებული მახასიათებლები გადმოიღეს დღევანდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შესაძლებელია თუ არა მათი პრაქტიკაში განხორციელება. მან ხაზი გაუსვა საქმის პრაქტიკულად განხორციელების მნიშვნელობას. ერთ-ერთ სილაბუსში მითითებულია კვლევის

სტრუქტურული და ოპტიკური მეთოდები, სადაც გამოყენებულია სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება დისლოკაციებს. მისი თქმით, სილაბუსის თემებში მოცემულია, მაგალითად, რენდგენული მეთოდები, კვლევის ოპტიკური მეთოდი, რენტგენული მეთოდი, თუმცა არა დისლოკაციები, რასაც შეეხება მითითებული სახელმძღვანელო. კიდევ ერთი შეკითხვა შეეხებოდა, საკმაოდ მდიდარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბჭო წევრს დააინტერესა ჰქონდა თუ არა ინსტიტუციას წვდომა ჟურნალებზე, საიდანაც დოქტორანტი შეძლებდა სტატიის სრულად გაცნობას. კითხვა გაჩნდა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებითაც. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენადაა ორგანულად ჩართული პროგრამის აუცილებლობა პროგრამის მიზნებთან და საკითხებთან, რაც პროგრამის მიმდინარეობისას ისწავლება. საბჭოს კიდევ ერთ წევრს გაუჩნდა შეკითხვა ექპერტთა ჯგუფთან. მეორე სტანდარტის ჩანაწერი პუბლიკაციასთან დაკავშირებით საბჭოს წევრისათვის ბუნდოვანი აღმოჩნდა. „სტუდენტის ნაშრომს დეტალურად განიხილავს სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორის მიერ არჩეული რეცენზენტი“ - საბჭოს წევრის აზრით, თითქოს ჩანაწერით მხოლოდ კონკრეტულ ჟურნალზე იყო აქცენტი გაკეთებული, რომელიც ასოცირდებოდა პროგრამასთან და უნივერსიტეტთან. მისთვის საინტერესო იქნებოდა აღნიშნული ჩანაწერის განმარტება. ასევე, მისი თქმით, 21-ე გვერდზე არსებულ ჩანაწერში ჩანდა, რომ სასურველი იყო კავშირი გაძლიერებულიყო ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტთან, იყო თუ არა ეს ტექნიკური ხასიათის ჩანაწერი. საბჭოს წევრის თქმით, 2018 წელს გაცემული იყო ექვსი რეკომენდაცია, საიდანაც მეხუთე და მეექვსე ეხებოდა ხარისხის შეფასების მექანიზმებს, თუმცა მონიტორინგის ანგარიშში ამასთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა. საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული თემა გამოსწორდა თუ ისევ ისე დარჩა.

ექსპერტმა პუბლიკაციასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ არსებობდა სტანდარტული სქემა, რომლის მიხედვითაც სტატია იგზავნებოდა ნებისმიერ ჟურნალში. შემდეგ ჟურნალის რედაქტორი ირჩევდა რეცენზენტს, რომელიც უხილავი იყო ავტორისთვის. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. ხარისხის მონიტორინგთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა არ შეცვილილა. ხარისხთან დაკავშირებით ძირითადი შენიშვნები გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პროცესში ყველა თანამშრომელი ვინც უნდა ყოფილიყო ჩართული, არ თანამშრომლობდა. ახალი მონიტორინგის დროს შთაბეჭდილება ვერ შეიცვლებოდა, რადგან ექსპერტებს არ ჰქონიათ გასაუბრება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა არჩევით სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ გააკეთა განმარტება. მისი თქმით, ეს იყო მონაცემების დამუშავებისთვის ინსტრუმენტები, როგორც არჩევითი კურსი. საბჭოს წევრმა დასვა კითხვა სამეცნიერო ბაზების საკითხზე, მას სურდა განმარტების მოსმენა. საბჭოს თავმჯდომარესაც სურდა მეხუთე სტანდარტთან მიმართებით მეტი განმარტების მოსმენა. რომეო გალდავას განმარტებით, უნივერსიტეტს ჰქონდა შესყიდული ბაზები, რომელთან წვდომაც თავისუფალია და ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტი ჩართული. ასევე, მისი თქმით, უნივერსიტეტში ხარისხის ინსტრუმენტები მუშაობს, ტარდება გამოკითხვები, თუმცა სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით საკითხის ღრმა ანალიზი ვერ კეთდება. რომეო გალდავას თქმით, შესაძლებლობის ფარგლებში პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა მიმდინარეს. საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა იმაზე, თუ რა დრო სჭირდება საშუალოდ დოქტორანტს კვლევის დასრულებისათვის და არის თუ არა საკმარისი ამისათვის სამი წელი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხუთი სემესტრი დოქტორანტს დახურული ჰქონდა, ხოლო მეექვსე სემესტრში გაიგრძელა სტატუსი, შეარჩია ახალი თემა. საბჭოს წევრის მითითებით, ხშირად სამი წლის ვადა საკმარისი არ არის ხოლმე კვლევის დასასრულებლად. საბჭოს წევრმა დასვა შეკითვა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეცვლილიყო როგორც ფიზიკის დოქტორი და ხდებოდა თუ არა ამ თემის გადაწყვეტა მიმდინარე საბჭოს ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთთა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია მართლაც იყო ფიზიკის დოქტორი, თუმცა 31 მარტამდე ამის ცვლილება უნდა მომხდარიყო. საბჭოს წევრმა

დააზუსტა, კურსდამთავრებულთა რაოდენობაც. რომეო გალდავას თქმით, ამ მიმართულების პრობლემა იყო ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტთა რაოდენობა.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა გააკეთა განმარტება. მისი თქმით, ახალი ტექსტი იწერებოდა ცენტრის მიერ გამოგზავნილ მასალებზე დაყრდნობით. ხოლო მანამდე არსებული შენიშვნები ეყრდნობოდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც შეხვედრებისას დარჩათ ექსპერტებს. მისი შეფასებით, იმ მომენტისთვის არ ჩადა, რომ ყველა პირი იყო იყო ორგანულად ჩართული პროგრამის შემუშავებაში, ეს ფაქტი ხელახლა ვერ შემოწმდა რადგანაც ექსპერტებს არ ჰქონიათ გასაუბრება. ასევე, მისი შეფასებით დაწესებულებამ გამოგზავნა ისეთი სახის დოკუმენტები, სადაც ჩანდა ხარისხის სამსაუხურის ჩართულობა საკითხების განხილვაში. გარემოების უკეთესობისკენ ცვლილების შემოწმება ვერ მოხერხდა, ხოლო დოკუმენტებიდან ჩანდა ჩართულობის საკითხი.

16:00 საათზე სხდომა დატოვა მაკა კაჭარავამ

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:05
დასრულების დრო: 16:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მყარი სხეულების ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის შედეგის საკითხი, კერძოდ, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მყარი სხეულების ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N506 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N69, სასწავლო კორპუსი N2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

16:50 სხდომაზე დაბრუნდა მაკა კაჭარავა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ფარმაციის ბაკალავრი, პროგრამა აკრედიტირებული იყო 2012 წელს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე კი გახლდათ - ლაშა ბაკურიძე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლაშა ბაკურიძე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას. მან ჩამოთვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

- რეკომენდირებულია მოძიებულ იქნას დამატებითი პრაქტიკის ბაზები და გაფორმდეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები.
- რეკომენდაცია გაიცა პროგრამის უკეთ განხორციეებისათვის მატერიალურტექნიკური ბაზის შევსება სრულყოფის მიმართულებით.
- რეკომენდირებულია სილაბუსში სწავლა-სწავლების სილაბუსების გაწერა კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და მათი სრული გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში.
- რეკომენდირებულია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას
- ბიუჯეტში დეტალურად გაიწეროს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურული მატერიალური დანახარჯების მოცულობა.
- რეკომენდებულია, აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებაზე;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და წარმოადგინა უნივერსიტეტის პოზიცია დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებთან მიმართებით. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა დამატებითი პრაქტიკის ბაზების მოძიებასა და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებას, უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს უშუალოდ ამ პროგრამასთან მიმართებით გაფორმებული ჰქონდა როგორც ხელშეკრულებები, ისე არა ერთი მემორანდუმი. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ გამოცდილების გამო, ვინაიდან ხელშეკრულებების უმრავლესობა იყო ფასიანი და უნივერსიტეტი ამ ნაწილში თანხას იხდიდა, საბიუჯეტო წლის განმავლობაში დგებოდა ერთწლიანი ხელშეკრულებები ანაზღაურების ვალდებულებით, სწორედ ამან განაპირობა გარკვეულ კონტრაქტებში შედარებით მოკლე პერიოდულობა, თუმცა მისი მოქმედება ჯამში უწყვეტი იყო. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გამოვლენილია გამოსავალი, მოლაპარაკებები განხორციელებულია და არანაირი სამართლებრივი პრობლემა არ წამოჭრილა. ბაზების მოძიების მიმართულებით უნივერსიტეტი შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებს, დაწესებულება თანამშრომლობს ყველა იმ დაწესებულებასთან, რაც ოპერირებს საქართველოს ბაზარზე ამ მიმართულებით, კერძოდ ფარმადეპოსა და ჯიპისის სააფთიაქო ქსელის გაერთიანებაზე, ავერსი ფარმა, პეესპე, ლარიფარმი და სხვა. ასევე, მან აღნიშნა, რომ წარმოების დონით საქართველო განებივრებული არ არის, თუმცა ავერსი რაციონალთანაც გამორმებულია კონტრაქტი. ადგილზე წარმოდგენილია მატერიალური ბაზა, ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ფიზიკური, მიკრობიოლოგიის ლაბორატორია, ბიოქიმიის ლაბორატორია, ორი საექსპერტო კვლევითი ლაბორატორია, თუმცა თვითშეფასების ანგარიშშიც ასახულია, რომ ამ მიმართულებით დაწესებულება მუშაობას აგრძელებს და მისივე თქმით, წარმოდგენილი რესურსით პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება. მეორე და მესამე რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, ისურვა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი ყოფილიყო რომელ კონკრეტულ სასწავლო კურსზე იყო საუბარი, რადგან თითოეული აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო სწავლის მეთოდები

გამოეყენებინა. მისივე თქმით, ამ პროცესში ჩართულია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული და ლაბორატორიული ნაწილები, ასევე შერჩეულია შეფასების სათანადო მეთოდებიც, თანაც ყოველივე უშუალოდ სპეციალისტის გადაწყვეტილებით. დაით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ხელახალი აკრედიტაციის დოკუმენტაციის მომზდება, ხარისხის უზრუნველყოფის სასმახურის ჩართულობით ხორციელდებოდა და დაამატა, რომ დაწესებულება არსებული შედეგით კმაყოფილი არასდროს ყოფილა და მუდმივად ცდილობდა განვითარებას. მანვე აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია იყო, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგები ჩატარებულიყო ფარმაცევტული მიმართულებით და მიუთითა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პროფესორების უმრავლესობა თავად არიან ტრენერები საკუთარი სპეციალობით. ასევე, აღნიშნა, რომ ონლაინ ტარდებოდა შიდასამუშაო შეხვედრები და რომ ფარმაცევტული მიმართულებით უნივერსიტეტში არსებობდა ტრენინგ ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თემასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება დაწესებულების წარმომადგენელს აღარ გაუკეთებია, რადგან მან საუბრისას ჩამოთვალა აღნიშნული. დავით მახვილაძის შეფასებით, უშუალოდ ეს პროგრამა ფლობდა საკმაოდ დიდ ბაზას, თუმცა მას განახლება და გაძლიერება სჭირდებოდა, ასევე მან დაამატა, რომ უშუალოდ ეს პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურზე 299 სტუდენტს ითვლიდა და მოთხოვნა ამ მიმართულებით შემცირებისკენ არ მიდიოდა. მისი თქმით, მისაღები გამოცდების ცვლილებებმა გარკვეული შედეგები არა მხოლოდ ამ პროგრამაზე იქონია. ასევე დაამატა, რომ პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია და უნივერსიტეტის ბიუჯეტშიც ყოველთვისაა გათვალისწინებული მუხლი, რომელიც უკავშირდებოდა სამეცნიერო მიმართულების ხელშეწყობას, აფილირებული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას, კონფერენციებში მონაწილეობასა და მივლინებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ექსპერტებთან იმასთან დაკავშირებით, რომ საბოლოო დასკვნის ტექსტში 4.4 კომპონენტში იყო ჩანაწერი „წარმოდგენილი ბიუჯეტი დეფიციტურია და რთულია მსჯელობა პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე“ და მოითხოვა აღნიშნული ჩანაწერის დაზუსტება ექსპერტების მხრიდან.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტებს ნამდვილად კომპეტენტურად ჰქონდათ პროგრამები შეფასებული. მან აღნიშნა, რომ განსხვავებით ევროკავშირის ქვეყნების და აშშ-ისა, ფარმაცია საქართველოში არ არის რეგულირებადი პროფესია, შესაბამისად არ არის შემუშავებული ფარმაციის დარგობრივი მახიასიათებელი, რომლის საფუძველზეც უფრო ზუსტად და მარტივად მოხდებოდა პროგრამის შემუშავება და შეფასებაც. საბჭოს წევრმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ნებისმიერი სასწავლო პროგრამის მამოძრავებელი ძალა შეფასებაა და დაინტერესდა, რა მეთოდებით ხდებოდა სწავლება და კომპეტენციის შეფასება, რადგან ფარმაციაში, ისევე როგორც ჯანდაცვის სხვა სპეციალობებში იმდენად განირჩევა საგნები ერთმანეთისგან, რომ ტრაფარეტულად ერთი და იმავე მეთოდების ჩამონათვლის მონიშვნა რელევანტური არ არის. საბჭოს წევრმა მოიყვანა პირველადი სამედიცინო დახმარების მაგალითი, როცა შეფასების მეთოდად გამოყენებულია თეორიული ცოდნის შესამოწმებელი ტესტები. მისთვის საინტერესო აღმოჩნდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი ტესტებით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევის შეფასება. ასევე მისი თქმით, მითითებულია დავალების შესრულებაც, თუმცა კონკრეტულად რა დავალებაზეა საუბარი გაურკვეველია, ცხადია, პირველადი სამედიცინო დახმარების უნარი ვერ შეფასდებოდა ტესტებით. ამ შემთხვევაში ამ საგნის ათვისება/პრაქტიკული უნარი უნდა შეფასდეს სიმულაციის ცენტრში, სპეციალურ სიმულატორებზე - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეშვეობით. ფარმაცევტისთვის აუცილებელია ასეთი უნარის შეძენა, რადგანაც მის სამუშაო ადგილზე (მაგ.აფთიაქშიც) ადამიანს შეიძლება განუვითარდეს

ანაფილაქსიური შოკი, თუ ის ადგილზევე მიიღებს რაიმე წამალს. საბჭოს წევრის თქმით, ფარმაკოლოგიის სილაბუსში, როგორც მაგისტრატურაში, ისე ბაკალავრიატში წარმოდგენილია ერთი და იგივე სახელმძღვანელო (Basic and Clinical Pharmacology 14th Edition by Bertram Katzung), რომელიც საკმაოდ მოძველებულია, 2008 წელსაა თარგმნილი, ინგლისურენოვანი ორიგინალი კი 2006 წლისაა, მაშინ როცა ამ სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია გამოიცა 2018 წელს. საბჭოს წევრის განმარტებით, ფარმაცია ისეთი ტემპით ვითარდება, რომ წარმოუდგენელია ძველი სახელმძღვანელოებით სპეციალისტების მომზადება. მისი თქმით, პროგრამაში სწავლების ერთ-ერთი მეთოდი PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) არის მითითებული, თუმცა მან ვერ ნახა სილაბუსი, სადაც ეს მეთოდი არის გამოყენებული ან როგორ ხორციელდება შეფასება ამ ამ მეთოდის გამოყენებისას. საბჭოს წევრი, დაინტერესდა, როგორ ხდებოდა PBL სესიების ჩატარება. ბოლოს კი რჩევის სახით, აღნიშნა, რომ არსებობს პუბლიკაციები ფარმაციაში სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში და ზოგიერთი სწავლების და შეფასების მეთოდი ფარმაციაში უფრო ადრე დაინერგა, ვიდრე მედიცინაში. ამდენად სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფარმაციის სასწავლო კურსის სრულყოფისათვის.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, აღნიშნა, რომ ის კარგად გაეცნო, როგორც ბაკალავრიატის , ისე მაგისტრატგურის ორივე პროგრამას, თემის აქტუალურობიდან გამომდინარე ეძებდა ბაზრის კვლევის საკითხებს, რასაც ვერ მიაგნო და დაინტერესდა ჩატარებულა თუ არა ბაზრის კვლევა. მან ასევე ახსენა, მოწესრიგებული შიდა მექანიზმები და აქვე დასვა კითხვა გარე კვლევის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, აღნიშნა, რომ მას ჰქონდა რამდენიმე შეკითხვა. თავდაპირველად ის დაინტერესდა იმით, თუ რატომ იყო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობა ასე მოკლედ წარმოდგენილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ჩაირიცხება კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად“. მისი თქმით, კარგი იქნებოდა ფარმაციის პროგრამაში მესამე საგნის მითითებაც - იქნება ეს ქიმიის ჩაბარება თუ ბიოლოგიის, ასევე გარე თუ შიდა მობილობის სტუდენტის გადმოსვლა პროგრამაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის, მონაცემები არ ყოფილა წარმოდგენილი წინაპირობაში. საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა ლათინური ენის სწავლების საკითხს, რომელიც კრედიტებში ძალიან ცოტა იყო. მისი თქმით, როდესაც სამეცნიერო ტერმინოლოგია და სამუშაო ენაა ლათინური, სასურველია რომ მას ბევრად მეტი კრედიტი დაეთმოს ვიდრე სამი. შემდეგი საკითხი შეეხო უცხო ენებს და ჩანაწერს წინაპირობის სახით „ეროვნული გამოცდების შედეგები“, მისი თქმით, როგორც წესი, საბაკალავრო პროგრამებში უმაღლეს სასწავლებლებში პირველი სემესტრის საგნებში წინაპირობა არ იწერება. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თავად სასწავლო გეგმა ორი სახით იყო წარმოდგენილი, 46 და 47 პუნქტებში 15 კრედიტი იყო არჩევითი, რაც შეთავაზებულია პროგრამაში, თუმცა მერვე სემესტრში მხოლოდ 5 კრედიტია. მისი შეფასებით, შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ის გაეცნო როგორც უცხო ენის სილაბუსებს, ისე რამდენიმე დარგობრივ საგანს, მაგალითად, არაორგანული ქიმიის სილაბუსს, რომელივ არის ექვსკრედიტიანი, საიდანაც ლაბორატორიული 30 საათი და ლექცია - 15 საათი, რაცსაკმაოდ მოცულობითი საგანია, ხოლო შეფასებაა ძალიან ცოტა. ასევე მისი თქმით, მხოლოდ ერთი საათი ეთმობა შუალედურ გამოცდას, ერთი საათი კი - დასკვნით გამოცდას. საბჭოს წევრმა დაამატა, რომ ხშირად უცხო ენის სილაბუსებში მხოლოდ დახურული ტესტია მითითებული. მანვე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აქვთ ჩანაწერი, რომ დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარია 11 ქულა, სამაგისტრო პროგრამაში 21 ქულაა, რაც პრობლემას არ წარმოადგენს. მესამე ბრძანება კი - პირდაპირ ითხოვს დასკვნით გამოცდაში იყოს 50%იანი მინიმალური ზღვარი, ხოლო პროგრამის მინიმალური ზღვარია 11 ქულა, როდესაც მინიმუმ 20 ქულის მითითებაა საჭირო. ასევე, საბჭოს წევრის თქმით, სილაბუსებში მითითებული არ ყოფილა, თუ როდის ტარდება დამატებითი ანდაც დასკვნითი გამოცდები, შუა შემესტრული კვირის გამოცდები. საბჭოს წევრის განმარტებით, ეს დოკუმენტი სტუდენტზე ორიენტირებული უნდა იყოს და მასში ყველაფერი გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულების

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, თუმცა ჩარიცხულთა რაოდენობა მეტია და ეს ყოველთვის მეტი იყო მითითებული და დაწესებულებას ამ საკითხის განმარტებაც სთხოვა.
საბჭოს წევრს, ელენე ჟურავლოვას, ექსპერტებთან გაუჩნდა კითხვა მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, სადაც მითითებული იყო „არსებული მატერიალური რესურსი მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის შესრულებას“, მან ამ ჩანაწერის დაზუსტება ითხოვა, კერძოდ რა ტიპის მატერიალურ უზრუნველყოფაზე გაკეთდა აქცენტი და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს სტუდენტების შედეგამდე გასვლისათვის.
დასმული შეკითხვების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, განმარტებები გააკეთა. მან საუბარი დაიწყო იმაზე, რომ მას შემდეგ რაც ფაკულტეტის ბიუჯეტის გაცნობის შემდეგ დადგინდა მისი დეფიციტურობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან და დეკანისაგან გაკეთდა განმარტება, რომ ისინი მზად იყვნენ ნებისმიერი დეფიციტის შემთხვევაში სხვაობა საერთო ბიუჯეტიდან ყოფილიყო სუბსიდირებული. ლაშა ბაკურიძის თქმით, ექსპერტებმა ითხოვეს დეტალურად გამოყოფილიყო უშუალოდ ამ პროგრამაზე რა ხარჯები იყო გამოყოფილი, რომ დაენახათ სტაბილურობის კოეფიციენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა იკითხა, რამდენად ჰქონდათ ხსენებულ პირებს უფლებამოსილება, რომ მათ მიეცათ ექსპერტებისთვის პირობა ცენტრალური ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში თანხების მობილიზებისა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ლაშა ბაკურიძის, განმარტებით, შეხვედრას ესწრებოდა, როგორც ადმინისტრაცია, ისე რექტორის მოადგილე და კანცლერი, აქედან გამომდინარე მათი განმარტების ჩაწერა მოხდა. ასევე მან აღნიშნა, რომ არაერთ სესიაზე თითქმის ყველა ექსპერტისგან დაისვა კითხვა, რომ სილაბუსების უმრავლესობაში თითქოს სტანდარტიზებული იყო გამოკითხვისა და შეფასების მეთოდები. ექსპერტებს აინტერესებდათ როგორ იყო შესაძლებელი ნული, ერთი და ორი ქულით, ანუ ასეთი მცირე დიფერენციაციით მომხდარიყო სამართლიანი გადანაწილება ცოდნისა და შეფასების, ასევე ყველგან იყო გამოყენებული პიბიელი, სიბიელი, სხვა მეთოდიკა და რომ ექსპერტები ცდილობდნენ გარკვევას, თუ როგორ ხდებოდა შეფასება კონკრეტულად, რისი გარკვევაც მათ ვერ შეძლეს დოკუმენტურ ნაწილში, ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნინა, რომ ქიმიური კუთხით დაწესებულებაში ლაბორატორიების უმრავლესობა ნორმალურად იყო აღჭურვილი, თუმცა პროფესიული თვალსაზრისით იყო რაოდენობრივი დანაკლისი. მისი თქმით, რადგან სტუტდენტების რაოდენობა საკმაოდ ბევრი იყო, გაიცა რეკომენდაცია მატერიალური ბაზების შევსების თაობაზე, რისი მიზეზიც იყო ის, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის აქტიურად გამოყენებადი ყოფილიყო და არა მხოლოდ საჩვენებლად ცნობიერებისთვის. მისი თქმით, ექსპერტებმა უნივერსიტეტისგან მიიღეს განმარტება, რომ პარტნიორი კომპანიებისაგან ხდებოდა დანაკლისი მატერიალური რესურსების ათვისება დაგამოყენება.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, განმარტა, რომ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული საკითხები მეშვიდე დანართში იყო წარმოდგენილი, აღნიშნული დანართი კი, საბჭოს წევრებისათვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა ტექნიკური ხარვეზის გამო. დაწესებულების პოზიციით, საგანმანათლებლო პროგრამის უფრო ნათლად აღწერის რჩევა, საკმაოდ სასარგებლო იყო, რასაც ისინი უახლოეს პერიოდში გაიზიარებდნენ. დავით მახვილაძის თქმით, ლათინური ენის სწავლების მიმართულებითაც დაისვა შეკითხვა, სპეციალისტების რჩევის გათვალისწინებით სამი კრედიტი საკმარისი იყო სასწავლო კურსისთვის მისანიჭებლად. გარდა ამისა, მისი თქმით, ეროვნულ გამოცდებზე, რამდენიმე ენაზე ხდება გამოცდების ჩაბარება, უნივერსიტეტში კონკრეტული ენის შესწავლა კონკრეტული დონიდან იწყება, შესაბამისად, თუ სტუდენტის ჩარიცხვა გერმენული ენით მოხდა წინაპირობა ამ ნაწილში ყოფილიყო. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მინისტრის N3 ბრძანებასთან არსებული შეუსაბამობები დაწესებულებამ დაუყოვნებლივ აღმოფხვრა. მისი თქმით, მთავარია, განსაზღვრული უნდა იყოს კომპეტენციის ზღვარი, დასკვნითი შეფასების

მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60% და ტექნიკური უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამდენად, მან საბჭოს წევრებს სთხოვა ეს საკითხი კიდევ ერთხელ განემარტათ. ბოლოს, დაწესებულების წარმომადგენელმა გაიანე სიმონიას დიდი მადლობა გადაუხადა კვალიფიციური კომენტარებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მიუთითა, რომ წარმოდგენილი იყო შრომის ბაზართან დაკავშირებით ცალკეული კომპანიების გამოკითხვები, თუმცა არ ყოფილა დოკუმენტი, სადააც მოიძებნებოდა კონსოლიდირებულად, თუ როგორია შრომის ბაზრის შედეგები და, ამდენად, ერთიანი სურათი როგორია არ იკვეთებოდა.
საუბარი განაგრძო, დაწესებულების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მამუკა მაისურაძემ და განმარტება გააკეთა სასწავლო გეგმებში მითითებული დასკვნითი გამოცდების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.მისი თქმით, კონკრეტულ სილაბუსი გაწერილია კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. როდესაც სასწავლო კურსს აქვს შეფასება დახურული ტესტების საშუალებით, არის განსაზღვრული ერთი საათი, ხოლო სადაც არის ღია ტესტები, განსაზღვრულია ორი საათი, რადგან, მისი თქმით, ყოველივე გამომდინარეობს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შეფასების სისტემის კონფიგურაციიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, მიუთითა, რომ ფარმაცევტული ბაზრის კვლევის სათაურით გამოგზავნილი იყო ფაილი, ხოლო კვლევა ჩატარებულია დაწესებულების მხრიდან და მეტნაკლებად შესაბამისად, რადგან საბჭოს მხრიდან მიღებული სტანდარტი შრომის ბაზართან მიმართებაში გაზრდილია და ადრინდელი პრაქტიკის გამო, ეს სხვა მოლოდინებით კეთდებოდა. მისი თქმით, მისაღები და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ცვლილება გამოწვეული იყო იმით, რომ ხდებოდა ფაკულტეტზე მობილობით სტუდენტების ჩარიცხვა და მისაღები რაოდენობა დაჯამებულია მობილობით გადმოსული სტუდენტების რიცხვითაც წლების მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრის, გაიანე სიმონიას თქმით, ლათინური ენის წილი რაც დრო გადის ნაკლები ხდება, რადგან მედიცინის ენად ლათნური აღარ მიიჩნევა და ძირითადი ენა არის ინგლისური და ლიტერატურაც ინგლისურენოვანია. ასე რომ, ლათნური ენის კრედიტები, გაიანე სიმონიას არ გაჰკვირვებია.
საბჭოს წევრთა ნებართვით, საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა მესამე საკითხის განხილვის დაწყება, რომელიც იყო ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. მისანიჭებელი კვალიფიკაციით ფარმაციის მაგისტრი, პროგრამა აკრედიტირებული იყო 2012 წელს.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N507 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N69, სასწავლო კორპუსი N2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა მოცემული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ, საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას. მან ჩამოთვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იყოს პროგრამაში შემავალი სამი კონცენტრაცია, რომლებსაც ექნებათ ნათლად ჩამოყალიბებული ინდივიდუალური მიზნები.

- რეკომენდირებულია საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69 ბრძანების შესაბამისად კონცენტრაციას ჰქონდეს სწავლის შედეგი, რაც გათვალისწინებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.
- რეკომენდირებულია სტუდენტის ცოდნისა და უნარჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკაციის გათვაისწინებით.
- მოძიებული იქნეას დამატებითი პრაქტიკის ბაზრები და გაფირმდეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები.
- გადაიხედოს სწავლა-სწავლების მეთოდები სილაბუსებში და ნაჩვენები იყოს, როგორ იზომება მათი გამოყენების სწავლის შედეგები
- რეკომენდირებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების პროცესის გაგრძელება.
- რეკომენდირებულია ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული მატერიალური შევსების განახლების პერსონალის განვითარების და სამეცნიერო მუშაობის დანახარჯების მოცულობა
- რეკომენდირებულია თვითშეფასების ჯგუფში დაემატოს დამსაქმებელი
- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეფასდეს კონცენტრაციების გათაისწინებით
- ხარისხის უზრუნველყოფის სასმახურის მიერ პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასება, რათა გამოკვეთილი იყოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელთა გამსოწორებაც იქნება შემდგომში მიზნად დასახული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია:

უნივერსიტეტის წარმომადგენლის, დავით მახვილაძის, თქმით, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებასა მსგავსი პოზოცია ჰქონდა, ამდენად, გადაიხედება შეფასების ნაწილი საკმაოდ კრიტიკულად, სწავლა-სწავლების მეთდების ნაწილიც. მან ხაზი გაუსვა ერთი პრინციპული საკითხის განხილვას, კერძოდ, იმას, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი დამოკიდებულება კონცენრაციებთან მიმართებაში, რომელიც არაა უსაფუძვლო და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. რამდენიმე კომპონენტის ქვეშ სხვადასხვა ველში განხილულია კონცენტრაციები მიზნებთან მიმართებაში. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მინისტრის N69 ბრძანებაში, სადაც კონცენტრაციასთან დაკავშირებული რეგულაციებია თავმოყრილი, საუბარია რამდენიმე მოცემულობაზე. პირველი ეხება საკითხების კონკრეტულ მოცემულობაზე კონცენტრირებას. მეორე მოცემულობაა, რომ კონცენრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგში, ამდენად, როგორც კონცენტრაციას, ისე თითოეულ სასწავლო კურსს ჰქონდა თავისი სწავლის შედეგი. მისი თქმით, კონცენტრაციის სწავლის შედეგები გათვაისწინებული იქნა კურიკულუმის სწავლის შედეგში და ექსპერტების დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით იყო, რომ ცალკე უნდა გაწერილიყო კონცენტრაციის სწავლის შედეგები, ამ ნაწილის განმარტება ამ სახითაცაა შესაძლებელი, რომ ეს საკითხი მიებას კურიკულუმის სწავლის შედეგს; ან მეორე ნაწილი, რომ შედეგი რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის შედეგში, გათვალისწინებულ იქნას პროგრამის სწავლის შედეგში, კერძოდ არსებული სამი კონცენრაციის პირობებში, რომლებიცაა ფარმაცევტული ანალიზი, სამრეწველო ფარმაცია და ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება ამ კონცენტრაციების სწავლის შედეგს ვერ დაინახავდა კურიკულუმის სწავლის შედეგში, მაშინ ექსპერტების მიერ ხსენებული პრობლემა მართლაც იარსებებდა, მაგრამ ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნული შედეგები გაითვალისწინა, ამ ნაწილში დარღვევას ვერ ხედავს. მანვე დააზუსტა, რომ საუბარი ეხებოდა იმას, რომ

კონკრეტული კონცენტრაცია ცალკე არ არის გამოყოფილი და არა რომელიმე, მაგალითად, ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია არ ყოფილა წარმოდგენილი. მისი თქმით, ეს საკითხი ხედვის დონეზეც ძალიან მნიშვნელოვანია და სურს სცოდნოდა საბჭოს დამოკიდებულება. ასევე, მან გააჟღერა უნივერსიტეტის პოზიცია, რომ დამოკიდებულება იყო, რომ ფორმა უნდა შეირჩეს უნივერსიტეტის მიერ, მაგრამ შინაარსის დაცვა უნდა მოხდეს მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, იგი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესის პოლიტიკის გაძლიერებაზე, რაც ორმხრივი ინტერესია. დავით მახვილაძის თქმით, უნივერისტეტი და ფაკულტეტი ქმნის ყველა პირობას ამ მიმართლებით, მაგრამ ექსპერტებთან დიალოგშიც აღინიშნა, რომ დამატებითი მოტივაცია ან აქტივობები იქნებოდა საჭირო. მისი აღნიშვნით, მეოთხე რეკომენდაციაც კონცენტრაციის შედეგებს შეეხებოდა და ამდენად, საკითხის გადაწყვეტა რადიკალურად შეცვლიდა დასკვნის საბოლოო შეფასებას, რადგან სხვადასხვა კომპონენტების ფარგლებში იკვეთებოდა იდენტური პრობლემა. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დამატებითი პრაქტიკის ბაზებისა და გრძელვადიანი ხელშეკრულებებთან დაკავშირებით პრაქტიკა არსებობს, მოკლევადიანებიც უწყვეტად ხორციელდება. ის ასევე გამოეხმაურა ხარისხის მიმართულების შიდა მექანიზმების გაძლიერებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო სიახლეებია უნივერსიტეტში ამ მიმართულებით, შეფასებები წელიწადში ორჯერ კითხვარების საშუალებით კეთდება, რასაც, ნებაყოფლობითი სახე აქვს. მისი თქმით, შემდეგ ხდება სიტუაციის გაანალიზება და პრობლემების გადაწყვეტა, ამდენად, აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტი მუშაობს და კიდევ უფრო აძლიერებს საქმიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, აღნიშნა, რომ ბუნდოვანია, კონკრეტულად ამ პროგრამისთვის რა მიზნებზე და სწავლის შედეგებზე უნდა გადიოდეს საკვალიფიკციო ნაშრომი, რადგან ამასთან დაკავშირებული დოკუმენტი ვერ ნახა. სამაგიეროდ, დოკუმენტებში იყო სწავლის შედეგების რუკა, სადაც ყველა პროგრამის სწავლის შედეგი სამით არის მონიშნული, წერია - განმარტავს სამკურნალო პრეპარატებს, აღწერს მათ შორის აანალიზებს ჯიემპის აისოს, აკავშირებს ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით პრეპარატებს, განიხილავს ორიგინალურ გზებს, წარმოების ინოვაციურ განვითარების კუთხით, ბიოშეღწევადობას ადგენს, ოპერირებს თანამედროვე ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით, იყენებს ფარაკოპეულ მეთდებს კვლევის დამოუკიდებლად უახლესი მეთდებს და მიდგომების გამოყენებით. საბჭოს წევრის ხედვით, ძალიან სჭირდება საქართველოს ასეთი სპეციალისტების გაზრდა. ის ასევე დაინტერესდა იმით, რომ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში, კვლევის მეთოდოლოგიაში არ ყოფილა საერთოდ ციტირება, ამდენად, მისი თქმით, მნიშვნელოვანია, არის ეს ინოვაციურად სტუდენტის მიერ შემუშავებული მეთოდები, თუ უბრალოდ ხარვეზი და არ მოხდა ციტირება. ასევე, ელენე ჟურავლოვან დაამატა, რომ რამდენიმე ნაშრომში, სტუდენტს ეწერა მესამე პირში და დასვა შეკითხვა, იყო სტუდენტის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული ნაწილი თუ უბრალოდ სხვისი კვლევის აღწერის ანალიზი. ვინაიდან, საბჭოს წევრს, ჯიემპისა და აისოს სტანდარტები წარმოდგენილ ნაშრომებში არ შეხვედრია მას სურდა მოესმინა დაწესებულების პოზიცია, თუ როგორ ხდებოდა ამ კუთხით ნაშრომების შეფასება და რამდენად ჰქონდა დაწესებულებას იმის რესურსი, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომი გაკეთებულიყო ისე, რომ სწავლის შედეგებზე გასულიყო.
საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს, ჰქონდა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, რადგან მინისტრის N69 ბრძანების მიხედვით, კონცენტრაციის კრედიტების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 50%, ხოლო დაწესებულებას პროგრამაში წარმოდგენილი აქვს სამი კონცენტრაცია, თითოეულ მათგანზე ცალკე არის 40 კრედიტი. ამდენად, ის დაინტერესდა ეს დარჩენილი 20

კრედიტი შესაძლოა სამაგისტრო ნაშრომთან იყოს ბმაში, რომ სტუდენტი იგივე კონცენტრაციის მიხედვით მუშაობს სამაგისტო ნაშრომზ თუ როგორ ხდებოდა ამის გადანაწილება. მისი თქმით, კარგი იქნებოდა პროგრამის შინაარსობრივ ნაწილში დამაზუსტებელი ჩანაწერის გაჩენაც.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ საჭიროა შრომის ბაზრის თემასთან დაბრუნება, რადგან ვერც საბაკალავრო და ვერც სამაგისტრო პროგრამაში ვერ ნახა დოკუმენტი და სთხოვა დაწესებულებას დოკუმენტის სათაური დაეზუსტებინა. საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, აღნიშნა, რომ ერთიანი შრომის ბაზრის კვლევა დოკუმენტებში ვერც მან ნახა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში 2.1 კომპონენტთან მიმართებით არის ჩანაწერი, რომ თვითშეფასების დოკუმენტში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ საგნებში ტარდება სპეციალობის გამოცდები, ამავდროულად ინტერვიუებით იკვეთება, რომ უცხო ენაში არსებობს ეს გამოცდა, შემდგომ წერია „სასრუველია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავდეს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინის საკვანძო საკითხებს. ამდენად, საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა ამ საკითხზე უფრო დეტალური და მკაფიო განმარტება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, საბჭოს წევრებს გაუზიარა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამაში კონცენტრაცია 70% არის წარმოადგენილი და ამდენად, ჯამში ის ფაქტი რომ არანაკლებ 50% უნდა კმაყოფილდებოდეს შესრულებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა დანელიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს სამაგისტრო ნაშრომი იყოს კვლევითი, მაგრამ ორი წელი საკმარისი არ არის სრული კვლევის ჩასატარებლად, ამიტომ დაწესებულება ცდილობს კარგად ცნობილი მეთოდიკებიდან გამომდინარე გამოვიდეს და სტუდენტებმა ღრმად ჩაიხედონ ფარმაკოპეულ მეთოდებში. რაც შეეხება ციტირებას, დაწეწებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბოლო პერიოდში ყველა მაგისტრანტის ნაშრომი გადის პლაგიატის პროგრამაზე, რომელსაც აქვს თავისი ზღვრები, რომლის გადაცილების შემთხვევაში მაგისტრანტი ვერ გავა სამაგისტრო დაცვაზე. მისი თქმით, საკმარისია ციტირების ინდექსმა გადააჭარბოს ორ პროცენტს თითოეული სტუდენტის ნაშრომში, რომ ნაშრომი შესაძლოა, დაწუნებული იყოს. რაც შეეხება მეთოდებს, მისი თქმით, სტუდენტებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ მოახდინონ მოცემული მეთოდის მოდიფიცირება. ნანა დანელიას თქმით, პლაგიატის პროგრამის მიზეზით კი, აღნიშნული მეთდების მითითება ამოიღეს ნაშრომიდან.
საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლოვას თქმით, თავად მეთოდი, რომლის შემდეგ მოდიფიცირებაც ხდება, უნდა დაიწეროს თუ ვის ეკუთვნის.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნანა დანელიას, თქმით, სტუდენტები იყენებენ ფარმაკოპეულ მეთოდებს და ძირითად ლიტერატურაში უთითებენ მეთოდის შესახებ. იმისთვის, რომ სტუდენტმა მეთოდი მოიპოვოს და გააკეთოს მოდიფიცირება, თან ციტირება, ორი წელი საკმარისი არ არის. მან ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნდა პოტენციალი, რომ იმ სწავლის შედეგზე, რის საშუალებასაც 2 წელი მისცემთ, აუცილებლად გავლენ. მისი თქმით, ისინი ასწავლიან სტუდენტებს რას ნიშნავს თითოეული სტანდარტი, რომ კვლევის უნარები განუვითარდეთ. ასევე აღნიშნა, რომ შეკითხვაზე სამაგისტრო ნაშრომში დასკვნასთან დაკავშირებით, მათი მიდგომაა, რომ სტუდენტმა დასკვნაში მაქსიმალურად უნდა გამოიტანოს შედეგები.
საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ, მოკლე კომენტარი გააკეთა იმის შესახებ, რომ მისი აზრით, ნაშრომის აკადემიური მომზადების სტილი საერთოა და ციტირების ფორმის გამოუყენებლობა იმიტომ რომ პლაგიატის პროგრამასთან არ შეიქმნას პრობლემა, მისთვის გაუგებარია. თეონა

მატარაძის თქმით, ანტი-პლაგიატის პროგრამა დამთხვევას ახდენს, მაგალითად, უცხო ენიდან რომ ითარგმნოს მასალა და სრულად მიითვისოს სტუდენტმა, საერთოდ ვერ ნახავს ამას პროგრამა, თუ სპეციალისტმა ეს არ შეაფასა.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, გააგრძელა აღნიშნული თემა და აღნიშნა, რომ თუ 2% გადაჭარბების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი იხსნება, ხომ არის შესაძლებელი ეს მითითებული იყოს, ციტირებული და იყოს მეტი, მაგალითად, ხუთი ან ათი პროცენტი. ის დაინტერესდა თუ, როგორია დაწესებულების რეგულაცია თუ სტუდენტმა იშრომა, გააკეთა მაღალი ხარისხის სამაგისტრო ნაშრომი, გამოიყენა სხვისი მეთოდოლოგია, მიუთითა და ციტირება გააკეთა, დამთხვევა გამოვიდა პირობითად ხუთი პროცენტი, ამ შემთხვევაში მოიხსნება სამაგისტრო ნაშრომი თუ არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა დანელიამ, აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ მოიხსნებოდა. მისი თქმით, იყო 25 სიტყვიანი და 5 სიტყვიანი წინადადებები, თითოეული თავისი ზღვრით. ზღვარი პირველ შემთხვევაში შეიძლება იყოს 25%-მდე, მეორე შემთხვევაში 45%-მდე, თუ კი მოხდება ამ პროცენტების გადაჭარბება ჩაითვლება პლაგიატად. ზღვარი რეალურად გამოდის 25% + 2% ანდაც 45% + 2%.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, იკითხა, 25%-ში რა პრობლემა იქმნებოდა მეთოდის მითითებისას, რომ მომხდარიყო ციტირება.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნანა დანელიას თქმით, მეთდები ძირითადად ერთიდაიგივეა ის დაეთანხმა საბჭოს წევრებს და თქვა, რომ სტუდენტებს ნაშრომში ციტირებას გააკეთებინებდა. მანვე ითხოვა, უფრო მეტი კონკრეტიკა შეკითხვის ნაწილში.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, დაწესებულების წარმომადგენელს აუხსნა ციტირებისა და პლაგიატის პროგრამაში კოეფიციენტის ზრდის ურთიერთკავშირი.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნანა დანელიას, თქმით, პრობლემა იყო აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასთან ამ შემთხვევაში, რადგან მოქმედებს დამტკიცებული პლაგიატის წესი, სადაც ჩართული არიან კვალიფიციური სპეციალისტები. მანვე აღნიშნა, რომ მითითების სპეციფიკა პრობლემა არაა, ამიტომ არც საკამათო. მისი თქმით, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა, როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო დონეზე.
საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისთვის და დასვა შეკითხვა, სწავლის შედეგებისა და კონცენტრაციებთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი თქმით, მინისტრის N69 ბრძანების ჩანაწერში აღნიშნულია, რომ კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. ამდენად, თამარ ჩხეიძის თქმით, თუ კონცენტრაციის სწავლის შედეგი ვერბალიზებული, გაფორმებული არ არის, მაშინ როგორ ხდება შემოწმება მოხდა თუ არა მისი გათვალისწინება პროგრამის სწავლის შედეგებში. ის დაინტერესდა, როგორ შეამოწმებს დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევადობას, რადგან მოქმედი პროგრამით, მისი თქმით, ის ვერ ხედავს განსხვავებას სასწავლო კურსისა და კონცენტრაციის სწავლის შედეგებს შორის. ამდენად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე უნდა მოხდეს, შესაბამისობის დადგენა.
საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაუბრუნდა შრომის ბაზრის კვლევის თემატიკას და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა არის სამგვერდიანი დოკუმენტი და სადაც განაწილებულია პროცენტები, თუმცა არ ჩანს სად ჩატარდა, ვინ ჩაატარა, როდის ხდებოდა გამოკიკთხვა და ა.შ. მან წარმომადგენელს ჰკითხა, ეს დოკუმენტი რამდენად იყო რელევანტური და ვალიდური სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების რეალური მოთხოვნის შეფასებისთვის.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, დასვა შეკიითვა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით. ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურა ძირითადად არის ქართული და რუსული, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ ჰქონდათ უხოურ ბაზებზე სტუდენტებს წვდომა, რით არის განპირობებული რუსული ლიტერატურის დომინირება.

დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის, განმარტებით, კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი რომელიც გათვალისწინებულია კურუკულუმის სწავლის შედეგებში. კანონის თანახმად, კონცენტრაცია ანუ კონკრეტულ თემატიკაზე ფოკუსირებული საგანთა ერთობლიობის სწავლის შედეგი ასახულია კურიკულუმის სწავლის შედეგში.
საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაინტერესდა, რომელი სემესტრიდან ირჩევდნენ სტუდენტები კონცენტრაციას და რამდენად აქვს სტუდენტს წინასწარ ინფორმაცია კონცენტრაციის მიხედვით, რას ისწავლის და რა შედეგზე გავა.
დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის თქმით, კონცენტრაციის არჩევა მეორე და მესამე სემესტრიდან იწყებოდა. მანვე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს გაცნობიერებული აქვს კონკრეტული მიმართულების არჩევა. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგების ჩანაწერები მოძებნადი და აღქმადია სტუდენტებისათვის და თუკი საბჭოს ამ დამოკიდებულებას სხვანაირად განმარტავს, უნივერსიტეტს მოუწევს შეხედულებების მოდიფიცირება. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ საუბრობდა საგანმანათლებლო პროგრამაში საწყის ნაწილში მესამე გვერდზე სწავლის შედეგებზე.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, იკითხა, როდესაც სტუდენტი გადაწყვეტდა აერჩია ესა თუ ის კონცენტრაცია, რა კრიტერიუმით შეარჩევდა კონცენტრაციას, მისცემდა თუ არა ამის საფუძველს სწავლის შედეგები.
დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის, თქმით, მოცემულ შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭოს ერთიანი პოზიცია იქნება ამ მიმართულებაში გადამწყვეტი უნივერსიტეტისათვის. ჩანაწერის განმარტებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი არ არღვევს ნორმის დანაწესს, თუმცა თუ მიზანშეწონილი იქნება ცალკე შედეგების დაწერა, ესეც არ იქნება პრობლემა. რაც შეეხება სტუდენტის გზაბნეულობის საკითხს არჩევანის წინაშე დადგომის პროცესში, მისი თქმით, უშუალოდ პროგრამაშიც არის ინფორმაცია მოცემული და არჩევანის დროს იგი მარტო არასდროს იქნება, რადგან დაეკონტაქტება პროფესორს, პროგრამის ხელმძღვანელს, ვისაც აქვს ვალდებულება რომ სტუდენტს სრულად აუხსნას პროგრამაში ამა თუ იმ კომპონენტით სარგებლობის შემთხვევაში, რა იქნება გათვალისწინებული. მისი თქმით, ინტერვიუს პროცესში, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს აუხსნეს ის, თუ რატომ არ ჰქვია კონცენტრაციებს დასახელება. მან დაამატა, რომ შესაძლებელია ერთი კონცენტრაციისთვის სამი დასახელების დარქმევა, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტა კონცენტრაციის შინაარსს უნდა ჩახედოს და ისე ჩამოიყალიბოს აზრი. სამი დასახელებიდან, კონცენტრაციას ერთი რომ დარქმეოდა, დარჩენილი ორის ნაწილში რჩებოდა კითხვები. მისი თქმით, ვინაიდან კანონმდებლობაში კონცენტრაცია სიახლეა, წინააღმდეგობის განცდა არც ერთ მიმართულებასთან არ ჰქონია უნივერსიტეტს. შრომის ბაზართან მიმართებით დასმულ შეკითვას რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენელს გახსნილი ჰქონდა დოკუმენტი სახელწოდებით „ფარმაცევტული ბაზრის მიმოხილვა და ტენდენციები“, საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა კითხვით, საბაკალავრო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც დაწესებულების წარმომადგენელმა გაუზიარა საბჭოს წევრებს სხდომის მიმდინარეობისას, რამდენად იყო ატვირთულ დოკუმენტებშიც წარმოდგენილი.
ცენტრის წარმომადგენელი, ქეთევან ინანაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, მან დააზუსტა კონკრეტულად, რა დოკუმენტზე იყო საუბარი და რომელ დანართში უნდა ყოფილიყო ის ასახული, რაზეც, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო მე-7 დანართზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს მათთვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში არ იყო ასახული.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა დანელიამ, გამოყენებულ უცხოენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. მისი თქმით, სტუდენტები გამოყენებულ ლიტერატურაში არ იზღუდებიან, უნივერსიტეტშიც არსებობს ინგისურენოვანი, ფრანგულენოვანი, გერმანულენოვანი ბაზები, რომლის გამოყენება ნებისმიერ სტუდენტს

შეუძლია და, ამდენად, ენის არჩევაში სტუდენტები თავისუფალი არიან. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებში ჰომეოპათიაზე აქცენტს, ნანა დანელიას თქმით, ის თვითონაა ჰომეოპათი და მაქსიმალურად ცდილობს ეს მიმართულება სტუდენტებს შეაყვაროს.
საჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, ითხოვა ცენტრის წარმომადგენლებს კონცენტრაციასთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინათ.
ცენტრის წარმომადგენლის, ქეთევან ინანაშვილის, განმარტებით, კონცენტრაციის დეფინიციას განსაზღვრავს სწავლის სფეროების კლასიფიკაციის დოკუმენტი; რეგულაციის შესაბამისად კონცენტრაცია არის საგანთა ერთობლილობა, რომელსაც სუტდენტი გაჰყავს სწავლის შედეგზე. დაწესებულება უფლებამოსილია ცალკეული კურსებიც ასწავლოს და მას არ დაარქვას კონცენტრაცია, თუკი ხდება ცალკეული კურსის სწავლება, მაშინ კურსი ცალკე უნდა გავიდეს სწავლის შედეგებზე. ხოლო თუ დაწესებულება გადაწყვეტს ჰქონდეს კონცენტრაცია, მაშინ ეს უკვე არის დაწესებულების მიზანი და ცვლის პროგრამის სტრუქტურას. რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებამ უნდა დააჯგუფოს გარკვეული სწავლის შედეგების საგნები და თქვას, რომ ამ შედეგზე მიზნობრივად გაიყვანოს სტუდენტი. ამიტომ, მისი თქმით, დოკუმენტის მომზადებისას ითქვა, დაწერილიყო, რომ კონცენტრაცია არის საგანთა ჯგუფი, რომელსაც სტუდენტი გაყავს სწავლის შედეგზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სწავლის შედეგი უნდა იყოს კონცენტრაციით განსაზღვრული და ჩამოყალიბებული და აისახოს პროგრამის სწავლის შედეგში. მაგალითად, ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლებისას უნივერსიტეტი თუკი გადაწყვეტს ბიოფიზიკის სწავლებასაც, სტუდენტებს ცალკეულ კურსებს კი არ შეასწავლის, არამედ მიზნობრივად ისეთ კურსებს მოუყრის თავს, რომ მათ მინიმალური შედეგი ჰქონდეთ. მისი თქმით, აღნიშნული ექსპერტთა დასკვნაშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული. ცენტრის წარმომადგენლის თქმით, როდესაც დაწესებულებას პროგრამაში აქვს არჩევითი კონცენტრაციები, აქ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს პროგრამის სწავლის შედეგში ჰქონდეს განსაზღვრული, რადგან სტუდენტი რომელ კონცენტრაციასაც აირჩევს, სწავლის შედეგი თავად პროგრამის სწავლის შედეგებიდან ექნება. მისი თქმით, მიმდინარე ეტაპზე ცვლილებებია შესული აკრედიტაციის დებულებაში და შესაძლებელია, დაწესებულებამ სხვადასხვა კვალიფიკაცია განსაზღვროს სამაგისტრო დონეზე. იმ დროს როდესაც დაწესებულება პროგრამას ამუშავებდა, მაშინ ეს დაშვება არ იყო, შესაძლოა კონცენტრაციები ამიტომ იყო ჩადებული პროგრამაში. ახლა სურათი შეცვლილია საკანონმდებლო ნორმების, თუმცა კონცენტრაციის განსაზღვრება ამ ეტაპზეც იგივეა.
საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის თქმით, კონცენტრაცია არჩევითიც რომ არ ყოფილიყო მაინც სჭირდებოდა სწავლის შედეგები, რადგან როდესაც კონცენტრაცია არჩევითა, სხვადასხვა კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში უნდა გავიდეს სხვადასხვა შედეგზე, შესაბამისად ერთიანობაში პროგრამაში ეს ვერ აისახებოდა.
დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის, თქმით, კონცენტრაციის აუცილებლობა მაშინ დგება, როდესაც რამდენიმე ალტერნატივა არსებობს და დაწესებულებისთვის სწავლის შედეგების ფორმის მიცემა პრინციპული არ არის. ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, იმ ნებისმიერთან მიმართებაში არსებულ სწავლის შედეგის ჩანაწერზე გავა სტუდენტი.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ იკითა როგორ უნდა გამიჯნულიყო ერთმანეთისგან სხვადასხვა კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში რა სწავლის შედეგზე მოხდებოდა გასვლა.
დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის განმარტებით, პროგრამაში იდენტური თანხვედრებია, როდესაც კოსმეტოლოგიის მიმართულებზეა საუბარი. მისი თქმით, ჩანაწერის ფორმის შეცვლა უნივერისტეტის მხრიდან მარტივად მოხდება. მან ასევე გაიმეორა, რომ წარმოდგენილი კონცენტრაციების ნაწილი 70%-ია, თუმცა საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის, თქმით კონცენტრაციები 40 კრედიტითაა წარმოდგენილი და როდესაც პროგრამა კონცენტრაციის სახითაა წარმოდგენილი, სტუდენტმა არ უნდა ეძებოს სწავლის შედეგი, იგი ცალკე უნდა იყოს დალაგებული თითოეული კონცენტრაციისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის, მითითებით, კონცენტრაციის გარეშე

დარჩენილმა საგნებმა უნდა უზრუნველყონ კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამით გათალისწინებულ სწავლის შედეგზე გასვლა, დამოუკიდებლად კონცენტრაციისა. მისი თქმით, ვინაიდან ჩანაწერია არანაკლებ 50% და ამაში შედის სამაგისტრო ნაშრომი, ამ სქემაზე დაწესებულებას გამოსავალი მეტნაკლებად მოძებნილი აქვს, თუმცა შესაძლოა პრაქტიკული თვალსაზრისით რაიმე პრობლემა შეიქმნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა გამოაცხადა სათათბირო შესვენების დაწყება და ექპერტებს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენითა და რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ აშემდეგირედაქტირებით:

- რეკომენდებულია, აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებაზე; მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა, რაც, მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერული წინსვლისთვის;
- რეკომენდებულია, პროგრამის უკეთ განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- რეკომენდებულია, სტუდენტების კონფერენციებში და პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართულობის ზრდა
- რეკომენდებულია, სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერა სასწავლო კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და მათი სრული გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, მათ შორის სახელმძღვანელოების განახლება.
- რეკომენდებულია, მიმდინარე შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას, სახელდობრ, პრაქტიკული/კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლებისა და შეფასებისას შესაბამისი მეთოდის (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის, OSCE) გამოყენება;
- რეკომენდებულია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზსის შევსების/განახლების პროცეის გაგრძელება;
- რეკომენდებულია, ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული/მატერიალური დანახარჯების მოცულობა.

რჩევები
ა) სასურველია, პროფილური საგნების ლიტერატურის ბეჭდური ეგზემპლარების რაოდენობის გაზრდა;

ბ) სასურველია, წარმოდგენილი პრაქტიკის ხელშეკრულებების ხელმოწერით დადასტურებული იყოს ორივე მონაწილე მხარის მიერ;
გ) სასურველია, მოძიებულ იქნას დამატებითი პრაქტიკის ბაზები და გაფორმდეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები მათთან;
დ) სასურველია, სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა;
ე) სასურველია, სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა;
ვ) სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება ფარმაცევტული თემატიკებით;
ზ) სასურველია, თვითშეფასების ჯგუფში დაემატოს დამსაქმებელი;
თ) სასურველია, დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური დადებითი ქულა (11 ქულა) გაიზარდოს, რაც, ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ აშემდეგირედაქტირებით:

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იყოს პროგრამაში შემავალი 3 კონცენტრაცია, რომლებსაც ექნებათ ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები.
- რეკომენდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების შესაბამისად, კონცენტრაციას

ჰქონდეს სწავლის შედეგი, რაც, გათვალისწინებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.

- რეკომენდებულია, ცალ-ცალკე გაიწეროს/გაიმიჯნოს კონცენტრაციების სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია, სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება დარგის თემატიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების პროცესის გაგრძელება/ეფექტურობა.
- რეკომენდებულია, ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული/მატერიალური შევსება/განახლების, პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო მუშაობის დანახარჯების მოცულობა;
- რეკომენდებულია, თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი;
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეფასდეს კონცენტრაციების მიხედვით;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური შეფასება, რათა გამოკვეთილ იყოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელთა გამოსწორებაც იქნეს შემდგომში მიზნად დასახული;
- ჩამოყალიბდეს და დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომებს პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოიყვანს;

რჩევები

ა) სასურველია, აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებაზე; მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა, რაც, მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერული წინსვლისთვის;

ბ) სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრული იყოს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ასპექტები;

გ) სასურველია, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ წინაპირობად განისაზღვროს კომპლექსური გამოცდა, რომელიც მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების (ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაკოლოგია, სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული ბიზნეს მენეჯმენტი და მარკეტინგი, ფარმაცევტული ქიმია, ფარმაკოგნოზია) საკვანძო საკითხებს, რაც, ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას;

დ) სასურველია, პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების დამატება;

ე) სასურველია, სტუდენტების მეტი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებსა და კონფერენციებში;

ვ) სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა სხვადასხვა სახის ტრენინგებში;

ზ) სასურველია, დისტანციური სწავლების კომპონენტის გათვალისწინება და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებას;

თ) სასურველია, გაიზარდოს პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ცალკეულ სასწავლო კურსებში კონკრეტული აქტივობების შეფასების ბიჯი (0; 0.5 და 1 ქულა), რათა შეფასების სისტემა გახდეს უფრო სამართლიანი და გაზომვადი;

ი) სასურველია, პროგრამის გარე ხარისხის შეფასება განხორციელდეს ქართველი ან უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ მაგისტრებისათვის, რომლებიც მიმდინარე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომების შემუშავებით იქნებიან დაკავებული, მათი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მათი სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა პროგრამის შედეგებთან მოვიდეს სრულ შესაბამისობაში.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N465 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერაკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
აკრედიტაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა ხაჩიძე, მიესალმა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ძირითადი მიგნებები. მისი მითითებით, პირველ სტანდარტთან მიმართებით სტანდარტი მეტწილად შესაბამისად განისაზღვრა, რისი მიზეზიც იყო ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში გამოკვეთილი იყო, რომ პროგრამა იძლეოდა საინჟინრო ცოდნას. მისი თქმით, ინჟინერია არის ცალკე კვალიფიკაცია, ამიტომ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ საინჟინროზე ყურადღება გამახვილებული არ უნდა ყოფილიყო პროგრამის მიზნებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ხაჩიძემ, განიხილა პროგრამის სწავლის შედეგების საკითხიც და მიუთითა, რომ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მისი თქმით, მეორე სტანდარტის შემთხვევაში მოცემულია სტანდარტთან მეტწილად შესაბამისობა, რადგან პროგრამის დაშვების წინაპირობებში იყო ზოგადი ჩანაწერი, დაკონკრეტების გარეშე, რთულად მოსაძიებელი. ასევე, მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა კონკრეტულად მითითება, როგორ ჩაირიცხებოდნენ ფაკულტეტზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ვინაიდან საუბარია რუსულენოვან პროგრამაზე, მან ისურვა ენის კომპეტენცია დაზუსტება. მისი შეფასებით, პროგრამის მიზნებსა და სტრუქტურაზე, პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით იყო გარკვეული შენიშვნები, აქცენტირება გაკეთებული იყო ისეთ საგნებზე, რომლებიც დარგის ფუნდამენტურ საგნებს არ წარმოადგენენ, მაშინ როდესაც ფუნდამენტური საგნებისათვის, ისეთები, როგორებიცაა, პროგრამების ენები, მონაცემთა სტრუქტურა, ალგორითმები, მცირე რაოდენობის კრედიტებითაა წარმოდგენილი. მისი თქმით, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეები დაახლოებით 55%-ია და ასევე არაქართულენოვანები არიან,

როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, მათ საქართველოში დასაქმების პრობლემა ექმნებათ ქართული ენის არცოდნის გამო, მაშინ როცა ქართული ენა აქვთ არჩევითად ჩასმული, რაც ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი. მისი შეფასებით, კონკრეტულ კურსებთან მიმართებაშიც ჰქონდათ ექსპერტებს შენიშვნები, რაც ეხება წარმოდგენილ მოძველებულ სახელმძღვანელოებს, ასევე შეუსაბამობაა სათაურებსა და შინაარსებს შორის. მანვე აღნიშნა, რომ აქვთ შენიშვნა საწარმოო პრაქტიკასთან მიმართებით, რადგან ის ხუთი კრედიტის მოცულობითაა პრაქტიკა წარმოდგენილი, რაც 125 საათს უდრის, აქედან უშუალოდ პრაქტიკას ორგანიზაციაში მხოლოდ 45 საათი ეთმობა, დანარჩენი დამოუკიდებელი სამუშაოა. მანანა ხაჩიძის თქმით, მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შენიშვნები არ ყოფილა. თუმცა, მისი თქმით, შეფასებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი სწავლის შეფასების მექანიზმი, არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოდან ამონარიდს და არ არის დაკონკრეტებული, არ იძლევა იმის აღქმის საშუალებას, თუ რა მეთოდებით ხდება სწავლის შედეგების შეფასება, მონაცემების შეგროვება, შედეგებზე რეაგირება, რადგან პროცედურები გაწერილი არ არის კონკრეტულად ამ პროგრამისთვის. შესაბამისად, რადგან სწავლის შეფასებაში არ არის აღნიშნული პროცედურები წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მეხუთე სტანდარტის შემოწმების დროსც, ჩაითვალა რომ ეს სტანდარტი დაკმაყოფილებული არ არის, რადგან სწავლის ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმი სრულყოფილი სახით წარმოდგენილი არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რამდენიმე რეკომენდაცია:

- პროგრამის მიზნების აღწერაში „საინჟინრო ცოდნა“ უნდა ჩანაცვლდეს ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგის ცოდნით.
- სწავლის შედეგებში, ასევე აქცენტირება უნდა გაკეთდეს იმ სფეროზე, რომელ სფეროშიც ხდება კვალიფიკაციის მინიჭება. საინჟინრო უნდა ჩანაცვლდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური ცოდნით.
- დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მიმართებით.
- განისაზღვროს პროგრამის სწავლების ენის - რუსულის მოთხოვნის დონე
- დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.
- ქართული ენის არმცოდნე სტუდენტისთვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტი.
- დაზუსტდეს გარე შეფასების პროცესის პერიოდულობა, შედეგების ანალიზის და ქმედებების პროცედურების.
- ზუსტად აღიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის პერიოდულობა, მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების პროცედურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კოტეტიშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან მიუთითა, რომ პროგრამა გადახალისებულია და ეს საკითხი გათვალისწინებულია. მისი თქმით, ექსპერტების ვიზიტის დროს, ზოგადად იყო ჩანაწერი გაკეთებული უცხო ენის ცოდნასთან დაკავშირებით, ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ რეკომენდაცია გაითვალისწინა და დააკონკრეტა მიღების წინაპირობების შესახებ ჩანაწერი. მისი თქმით, ვინაიდან პროგრამა რუსულენოვანია, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რუსული სკოლა, ირიცხებიან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ეროვნული გამოცდების საფუძველზე, თუმცა

სტუდენტების 55% არიან უცხოელი მოქალაქეები, ისინი კი - ირიცხებიან გარკვეული წესებით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვერ-გვერდზე. მისი თქმით, ექსპერტებს გადაეგზავნათ ბმული, სადაც გაწერილი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე მიღების პირობები. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ამ დოკუმენტში გაწერილია გადასახდელი თანხა და საჭირო დოკუმენტაცია და დასძინა, რომ უნივერსიტეტში არის უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების დეპარტამენტი, სადაც უცხოელი მოქალაქეები გადიან გასაუბრებას რუსულ და ინგლისურ ენაზე და სწორედ ამ კომისიის ფარგლებში ხდება გასაუბრება. ასევე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მუშაობა მიმდინარეობს ქულობრივი ზღვრის დადგენისათვის, რადგან როგორც რუსულ, ასევე ინგილსურენოვან პროგრამებზე ქულობრივი ზღვარი დადგენილი ჯერჯერობით არ არის. მისი შეფასებით, ზოგადად, სტუდენტმა უნდა იცოდეს სალაპარაკო ენა B2 დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სპეციალურ საგნებს ვერ დაძლევს. რაც შეეხება ქართული ენის კრედიტების გაზრდას, დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ქართული ენა არჩევით საგნებშია, რადგან არიან საქართველოს მოქალაქეები რომლებიც პროგრამაზე სწავლობენ და არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ასევე, მან დაამატა, რომ არსებობენ საქართველოს მოქალაქეები რომლებმაც ქართული ენა იციან, რა შემთხვევაშიც საქართველოს ისტორია იყო არჩევით საგნებში მითითებული. მისი თქმით, მოსალოდნელია, რომ ქართული ენა გადავიდეს ძირითად საგნებში და გაიზარდოს კრედიტებიც. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექპსერტებმა მიუთითეს რომ 125 საათიდან 45 საათი ნამდვილად ცოტა იყო პრაქტიკისათვის, რადგან დამოუკიდებელი საათები ძალიან დიდი რჩებოდა. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი საუნივერსიტეტო დონეზე იქნა განხილული და არა მხოლოდ აღნიშნულ, არამედ სხვა პროგრამებშიც, ყველგან, გაიზარდა 90 საათამდე. ასევე, მან დაამატა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების პროცედურები, რაც საუნივერსიტეტო ოფიციალური დოკუმენტებია. მისი თქმით, ამ დოკუმენტების თაობებზე მიმდინარეობდა სერიოზული საუბარი, აქ გაწერილია შეფასების მექანიზმები, მაგრამ ზოგადად ასეთი შეფასება ხორციელდებოდა პირდაპირ რეჟიმში დამსაქმებლებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, რადგან ამის მიხედვით სტუდენტები აფასებდნენ, როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე ინფრასტრუქტურას, დასაქმების საშუალებებს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პანდემიიდან გამომდინარე, პირდაპირი შეფასებები ვერ განხორციელდა, თუმცა ჩატარდა ონლაინ შეფასება და ექსპერტებთან ვიზიტის დროსაც იყო საუბარი, რამდენჯერ ხდებოდა შეფასება. დოკუმენტში პერიოდულობა გაწერილი არ არის, მაგრამ შეფასება ხდება წელიწადში მინიმუმ ორჯერ, პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს. მისი თქმით, უნივერსიტეტში შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, პროგრამის შეფასების კომისიები, სადაც ხდება სტუდენტების დასწრების მონიტორინგი, რამდენად კმაყოფილები იყვნენ ამა თუ იმ საგნით, როგორ დახურეს სემესტრი და ასე შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის თქმით, გადაწყვეტილების მიღებისთვის, მას სჭირდებოდა რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის მოსმენა. მისი თქმით, მონაცემთა სტრუქტურების, ალგორითმებისა და პროგრამების ენების მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მან დაუსვა ექსპერტებს შეკითხვა, ვიდრე ცვლილებები შევიდოდა პროგრამაში, მანამდე რამდენად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ცვლილებების გარეშე პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მინიმალურ დონეზე მაინც აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს. მეორე კითხვა შეეხო, კომპიუტერულ უნარებს, კერძოდ რამდენად საჭიროა ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსი. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია კვირაში ერთი ლექციის ფარგლებში მოხდეს მასალის გადაცემა სტუდენტებისთვის, რაც სილაბუსებითაა გათვალისწინებული. საბჭოს წევრს ასევე დაინტერესდა ექსპერტთა აზრით, დისკრეტულ

მათემატიკასთან დაკავშირებით, რომელიც მესამე სემესტრში ისწავლება, კერძოდ, საბჭოს წევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბევრ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ საგანს არა მესამე, არამედ პირველ სემესტრში ასწავლიან. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა იმით, რამდენად აქვს სტუდენტს უფლება აირჩიოს ის სასწავლო კურსები, რაც, პროგრამაშია მითითებული თუ შეუძლია ნებისმიერი კურსის არჩევა. ასევე, ის დაინტერესდა, რამდენად შეძლეს ექსპერტებმა ქართულენოვანი პროგრამის ნახვა და შეფასება. ასევე საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, ისურვა, რომ მეტი ინფორმაცია მიეღო ექსპერტების მხრიდან პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ იკითხა, პირველი და მეორე რეკომენდაცია, რომლებიც ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან - კერძოდ, მიზნები და შედეგები, თუ საუბარია რომ კვალიფიკაცია არის ინფორმატიკის ბაკალავრი და არის მინიჭების საშუალება, საინჟინრო მეცნიერებების ამსახველი შინაარსობრივად საგნები რამდენად მეტია ან როგორია ამის პროცენტული თანაფარდობა. ასევე, მან სრულად გაიზიარა რეკომენდაცია რუსული ენის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ ის გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას და მიუთითა, რომ დაწესებულებას აღებული ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროს 2017 წელს ჩატარებული კვლევა, თუმცა ეს შეიძლბოდა ყოფილიყო მხოლოდ საფუძველი იმის, რომ შემდეგ უნივერსიტეტს თავისი კვლევა ჩაეტარებინა. ასევე, მისი თქმით, აღებულია მიმოხილვა მსოფლიოში როგორ იზრდება მოთხოვნები. პროგრამა რუსულენოვან სპეციფიკურ კადრს ამზადებს, პროგრამაში კი ეს მომენტი უნდა მკაფიოდ უნდა გამოჩენილიყო. კერძოდ, ის დაინტერესდა იმ საკითხით, თუ როგორია მოთხოვნა ამ ტიპის კადრზე ქვეყნის შიგნით და უახლოეს რეგიონში. მისი შეფასებით, მისასალმებელია, პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 55%-იანი ხვედრითი წილი, რაც, მომსახურეობის ექსპორტის კლასიკური ფორმა გამოდის, თუმცა, ის მაინც აღნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანია შრომის ბაზრისა და მისი შესაძლებლობების საკითხი. საბჭოს წევრმა, ასევე ისაუბრა, ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ მისი შეფასებით, ფინანსური მდგრადობა ეჭვს არ იწვევს, რადგან 7 მილიონზე მეტია თანხები, მაგრამ საბიუჯეტო კლასიფიკაციაში როგორც წესი არ გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: მგზავრობა/ხელფასები/შემოსავალი. ამდენად, მისი თქმით, განახლება უნდა ხდებოდეს ექვს თვეშ ერთხელ და უნდა დაკონკრეტდეს თუ, რას გულისხმობს განვითარება, იქნება ეს თანამედროვე კომპიუტერული სისტემის შეძენა, სპეციალისტების ჩამოყვანა თუ სხვა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, რუსული ენის დონესთან დაკავშირებით. კერძოდ, ის დაინტერესდა როგორ მოხდა რეკომენდაციის ამ ფორმით ჩამოყალიბება დოკუმენტაციის შესწავლით თუ ინეტრვიუების დროს გამოვლინდა რუსული ენის არასაკმარის დონეზე ცოდნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მანანა ხაჩიძის, განმარტებით, პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე საგანი, რომელიც მოითხოვს დისკრეტული მათემატიკის ცოდნას ანუ რეალურად, დაპროგრამების ელემენტები, ისწავლება მეოთხე სემესტრში. მისი შეფასებით, საშუალოსთან მიახლოებულ დონეზე შესაძლებელია ცვლილებების განხორციელებამდე შედეგზე გასვლა, რადგან არის რიგი საგნები, რომლებიც სამ ძირითად ნაწილსა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეტ-ნაკლებად მოიცავენ, თუმცა მაინც აუცილებელია მიმართულებები გაღრმავდეს. მისი თქმით, ვინაიდან პროგრამის სახელწოდება არის ინფორმატიკა, ინფორმატიკა კი, იძლევა ზოგადი საგნების სწავლების საშუალებას. როგორც ექსპერტი აღნიშნავს, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტად არ იყო წარმოდგენილი, ამიტომ ექსპერტებს ნაშრომი არ მოუთხოვიათ. რუსულ ენასთან დაკავშირებით, სტუდენტები, რომლებთანაც ექსპერტს გასაუბრება ჰქონდა, ქართულ ენაზეც ბრწყინვალედ საუბრობდნენ და მათ არც რუსული ენის პრობლემა ჰქონიათ. მისი შეფასებით, კომპეტენციის ზღვარის დაწესება პირადი გამოცდილებითაა გამოწვეული; ვინაიდან ბევრი ისეთი სტუდენტი აბარებს, რომელმაც არც ქართული იცის და არც რუსული, ამდენად, მათ სწავლა უჭირთ და სავარაუდოდ, ზღვრის დაწესებაც ამიტომ გახდა

აუცილებელი. ასევე, მან დასძინა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმად გამოკითხვა ვერ ჩაითვლება და ამისთვის საჭიროა კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევადობის დონის განსაზღვრა, სამიზნე ნიშნულების ინსტრუმენტის გამოყენებით. მისი თქმით, საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, გამოკითხვა ვერ ჩაითვლება შედეგების შეფასების მექანიზმად. რაც შეეხება, მსჯელობას კომპიუტერულ უნარებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმისდამიუხედავად, რომ თითქოს ეს უნარები სკოლებში ისწავლება, რეალობა კატასტროფულია, ამიტომ, გარკვეულწილად, ეს საკითხი პროგრამაში აუცილებელიცაა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თვითშეფასების ჯგუფის წევრმა, ლევან იმნაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპიუტერუილ უნარები არ გუილსხმობს მხოლოდ და მხოლოდ word-ის ცოდნას, ეს არის უნარები, რომელიც დასჭირდება ადამიანს ამ სფეროში მუშაობისათვის და წარმოდგენისათვის, ორიენტირებისათვის. მისი თქმით, ყოველდღიურ საქმიანობაში რაც სჭირდება ადამიანს ყველა კომპონენტია თავმოყრილი და ამას არქმევენ კომპიუტერულ უნარებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მანანა ხაჩიძის, თქმით, თანამედროვე ტერმინოლოგია ითხოვს კომპიუტერული წიგნიერების ტერმინის გამოყენებას. ასევე, მისი თქმით, კიდევ ერთ საკითხი შეეხებოდა ბიუჯეტს, ამ თემაზე მან აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის პროგრამას ყოველ დღიურად სჭირდება განვითარება, რაშიც იგულისხმება პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, კვლევითი საქმიანობა, მივლინებები, ლაბორატორიული/ლიტერატურული ბაზის განვითარება. ექსპერტმა ასევე მიუთითა, რომ

რომ პროგრამაში ინჟინერიასთან დაკავშირებული საგნები თითქმის არ ყოფილა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათი სტუდენტების ნაწილი არიან აზერბაიჯანელები, რომლებთაც აქვთ თავიანთი გარკვეული მოთხოვნები, როცა ისინი საქმდებიან ნავთობსაწარმოებში, მათ იქიდან სთხოვენ ინჟინერიის კომპონენტების ცოდნასაც. მისი თქმით, სასწავლო კურსებში მოიაზრება თავისუფალი კომპონენტები, რომელსაც სტუდენტი თავისი სურვილის შესაბამისად აირჩევს, თუმცა, მანვე დაამატა, რომ პროგრამის მდგრადობიდან გამომდინარე, გარკვეული შეზღუდვები ამოქმედდება. კერძოდ კი, სამ ან ოთხ სასწავლო კურსზე შეჩერდება სტუდენტების არჩევანი, მოთხოვნის შესაბამისად.

საბჭოს წევრი დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან განმარტებით საგნების მოცულობის ზრდასთან დაკავშირებული დაგეგმილი აქტივობებით და აღნიშნა შემდეგი სასწავლო კურსები: მონაცემთა სტრუქტურები, ალგორითმები, და პროგრამირების ენები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საუბარი არ არის იმაზე, რომ არ უნდა იყოს საგნები, საუბარია რომ საგნები იყოს არჩევითი, რაც უკვე გადალაგდა. საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭო უფლებამოსილი იყო ეხელმძღვანელა მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ განხორციელდა ცვლილებები, მაგალითად, ქართული ენის სასწავლო კურსი არჩევითიდან ძირითად სასწავლო კურსში გადმოვიდა, თუმცა, აღნიშნა, რომ სტუდენტების დაახლოებით 50%-მა იცის ქართული ენა, ამ სტუდენტებს შორის არიან რუსეთის მოქალაქეები, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას დაფიქსირებული აქვს არგუმენტირებული პოზიცია და დაამატა, რომ სასწავლო კურსების დამატების ნაწილში, ეს გაზიარებულია. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მისი განცდით ყველა რეკომენდაცია განვითარებაზეა ორიენტირებული. ასევე, მისი ხედვით, კვალიფიკაციის ჩარჩო ზუსტად განსაზღვრავს რა არის თავისუფალი კომპონენტი და რა როლი აქვს მას პროგრამაში, სადაცაა ორი მიმართულება ზოგადი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები და თვალსაწიერის განმავითარებელი კურსები. მისი თქმით, ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდია შესაძლებლობა აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში მეტნაკლებად თავსებადი სასწავლო კურსები სტუდენტის ინტერესებს მოერგოს და ყველა სასწავლო კურსი ხორციელდება თითქმის ყველა სემესტრში. მან ასევე აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის მიმართულება

აქილევსის ქუსლად ექცა დაწესებულებას და ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს მუშაობა, რადგან მისი თქმით, არ სურს, რომ საბჭოს წევრებს განცდა იყოს ის, რომ უნივერსიტეტი ამაზე არ ზრუნავს. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, მათი მთავარი მიზანი ისაა, რომ პროგრამას შეფასებისას შრომის ბაზრის კვლევა ახლდეს თან, რადგან ფინანსური მდგრადობის ნაწილში, პროგრამას პრობლემები არ აქვს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დასვა შეკითხვა სასწავლო კურსების ფარგლებში საათების განაწილებასთან დაკავშირებით, კერძოდ 15 ლექცია და 30 პრაქტიკული საათის ირგვლივ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ტექნიკური უნივერსიტეტი არასდროს ზღუდავს პროფესორებს ამ ნაწილში და ყველა სილაბუსის ავტორმა თავად წარმოადგინა ის, ყოველგვარი ხელოვნური ზემოქმედების გარეშე. მისი თქმით, ეს სწავლის შედეგზე გასვლის მიმართულებით, საკმარისია. მანვე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა იმუშავეს შესანიშნავად, კვალიფიციურად, გაიცა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს, გაუჩნდა შეკითხვა მათემატიკის სილაბუსებთან დაკავშირებით, მისი თქმით, თემატიკა ორივე ნაწილში არის საკმაოდ მსუყე და პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რამდენად ხარისხიანად მოხდებოდა ორ ან სამ სემეტრში სწავლება. ამიტომ ითხოვა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი როგორი იყო აღნიშნულ საგნებთან დაკავშირებით და დაინტერესდა რამდენად მიღწევადი იყო სწავლის შედეგები სტუდენტებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მიმდინარე დღეებშიც იყო დავა მათემატიკოსებთან, რამდენად სწორი იყო ამდენი მასალის მიცემა. მისი თქმით, მართალია ისინი მეთოდებზე დავობე, გამოცდა მაინც კომპიუტერულად ტარდება და შეფასება ხელოვნურად ვერ შეიცვლება. მისი თქმით, სასკოლო მათემატიკის განათლება ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს და ამდენად, უნივერსიტეტმა შექმნა შესაძლებლობა, რომ პროგრამის გარეთ, სტუდენტები ჩართოს მათემატიკის შემსწავლელ აქტივობებში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა შეკითხვა და მისი თქმით საკითხები ძალიან მოცულობითია, დატვირთულია და რამდენად დაძლევადია. დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა, რომ პირველი სემესტრის დასრულებისას ტარდება მონიტორინგი და უნივერსიტეტშიც ასეთ ფორმატშია მიღებული, რომ თუკი რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ არის, ხუთკრედიტიანი საგნის ძირითადი საკონტაქტო საათებია სამი საათი. მაგრამ თუ კონკრეტული შემთხვევა ითხოვს მეტ დროს, ლექტორის განაცხადის საფუძველზე, ხდება საათების ცვლილება, მისი თქმით, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს ყველაფერი კონკრეტულად მოერგოს მოთხოვნებს. მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის სწავლების დონე სკოლებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ეს ფიზიკასა და ქიმიას ეხება. როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტში დანერგილია მეთოდი, რომ აბიტურიენტებისა და სტუდენტებისთვის გახსნილია ჯგუფები ფიზიკაში, ქიმიასა და მათემატიკაში, სურვილის მიხედვით გამოყოფილია აკადემიური პერსონალი. სტუდენტები თავად რეგისტრირდებიან ჯგუფებში და დამატებით გადიან აღნიშნულ კურსებს, მათემატიკაში მსურველი მეტია. რაც შეეხება სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, მონიტორინგი დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით მიმდინარე პერიოდში ტარდებოდა. მისი თქმით, მათემატიკა და ფიზიკა ბარდება კომპიუტერზე, აქედან გამომდინარე პიროვნული ფაქტორი ნიშნის აწევის ან დაწევის არ არსებობს. საბჭოს წევრის თქმით, თუ სტუდენტებს არ აქვთ სათანადო საფუძველი, თუ მასალა რთულია და ცალკე დამოუკიდებელი კურსებიც სჭირდებათ, მაშინ ერთ საათი რამდენადაა საკმარისი და ხომ არ არის მართლაც სილაბუსებში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათები გადასახედი. დაესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროცენტული მაჩვენებლის აღების შემთხვევაში ოცსტუდენტიან ჯგუფში, პრობლემა რეალურად შეიძლება ჰქონდეს ორ ან სამ ადამიანს. მისი შეფასებით, ინფორმატიკის პროგრამა ძალიან დიდია, საუბარია ათასობის სტუდენტზე, აქედან გამომდინარე ასეთი მძაფრი სიტუაცია არ დგას. მან ასევე აღნიშნა, რომ მათემატიკის ბევრ სილაბუსში უკვე ჩანაცვლებულია საათების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათემატიკასთან დაკავშირებული პრობლემები ადრე უფრო

მძაფრად იდგა, როდესაც გამოცდებიდან პროგრამაზე ხვდებოდნენ გეოგრაფია ჩაბარებული სტუდენტები. მას შემდეგ რაც მათემატიკით ჩაბარებული სტუდენტები ირიცხებიან, მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული კონტიგენტის დონე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა დაიწყო უფასო ონლაინ მოსამზადებელი კურსები აბიტურიენტებისათვის მათემატიკაში ფიზიკასა და ქიმიაში. რაც შეეხება საათების განაწილებას, მისი თქმით, ყველა პროგრამას სჭირდება მოდიფიცირება ყოველი წლის განმავლობაში, რაზეც უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობს, ინდივიდუალურად განიხილება ამა თუ იმ საგანში საათების განაწილების საკითხები. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის, დაემშვიდობა მათ და სათათბირო შესვენება გამოაცხადა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:05
დასრულების დრო: 20:35

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ აშემდეგირედაქტირებით:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აღწერაში საინჟინრო ცოდნა ჩანაცვლდეს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ცოდნით.
- სწავლის შედეგებში, აქცენტი საინჟინრო მეცნიერების ნაცვლად, გადავიდეს ინფორმატიკის ან საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფუნდამენტურ ცოდნაზე.
- დეტალურად აღიწეროს პირთა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით.
- განისაზღვროს, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა - რუსულის მოთხოვნის დონე.
- დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.
- ქართული ენის არმცოდნე სტუდენტებისთვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები.
- დაზუსტდეს გარე შეფასების პროცესის, შედეგების ანალიზისა და ქმედებების პროცედურების პერიოდულობა.
- ზუსტად აღიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის პერიოდულობა, მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების პროცედურა.
- სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან და სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
- ჩატარდეს ბაზრის კვლევა, ინფორმატიკის რუსულენოვან სპეციალისტების ჯგუფზე ფოკუსირებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში ხარჯების კლასიფიცირება იყოს მკაფიო და ნათელი.

რჩევები

ა) საგნები: „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“, „ორგანიზაციული მართვის სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები“, „მწვანე კომპიუტინგი“, „ნივთების ინტერნეტი“ უმჯობესია გადანაცვლდეს არჩევით კურსებში;
ბ) განალხდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა;
გ) მოხდეს საგნების სათაურის და შიგთავსის სინქრონიზაცია;
დ) საწარმოო პრაქტიკაში დაემატოს ობიექტზე ყოფნის საათები;
ე) სასურველია, დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 20:55სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ